ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო!

# კოლხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი № 16 16-31 აგვისტო (9439) ფასი 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

## მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა



სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები სტიქიის შედეგად დაზიანებულ ობიექტებზე იმყოფებოდნენ. ეკის ადმინისტრაციული ერთეულის შრომისკარის უბანში, სადაც ოთხი ოჯახია გარესამყაროსგან იზოლირებული, დამეწყრილი გზის აღსადგენად საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ტექნიკური ჯგუფი და გეოლოგები იმყოფებიან. მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები. დაწყებულია სტიქიის შედეგად დანგრეული უშაფათი-ეკის კაპიტალური ხიდის მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობს ძველი სენაკის მეორე ნოსირთან დამაკავშირებელი დაზიანებული ხიდის, ქალაქის შემოსასვლელთან მდებარე ხიდთან ჩამორეცხილი ნაპირების აღდგენის საპროექტო სამუშაოები. ჩამორეცხილი შიდა გზები ყველა პრობლემურ ადგილას აღდგება. დასრულებულია ლეძაძამე-კვაუთის დამაკავშირებელი დროებითი ხიდის მოწყობის სამუშაოები. ხიდის კონსტრუქციის აწყობა უმოკლეს დროში, 4 დღეში მოხერხდა. მუნიციპალიტეტის მერმა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან საუბარში აღნიშნა, რომ დაზიანებული ობიექტების აღდგენა უმოკლეს ვადებში გახდება შესაძლებელი. ამისთვის ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა რესურსია მობილიზებული.

## დასუფთავების აქცია შხეფის ციხეზე



გარემოს დაცვითი კამპანიის „გარემოს გულისთვის'' ფარგლებში, გაიმართა შხეფის ციხის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების აქცია, რომელიც, მოეწყო CENN – ის პროექტის „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში'' სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული წარმომადგენლობის, ასევე, წმ. ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ორგანიზებით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით. დასუფთავების აქციაში მონაწილეობდნენ წმ. ალექსი შუშანიას სახელობის სენაკის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეები, რომლებმაც პასუხისმგებლობა აიღეს შხეფის ციხის ტერიტორიის მოვლა-დასუფთავებაზე, რაც გულისხმობს აღნიშნული ლოკაციის პერიოდულ დასუფთავებას, შესაძლებლობის შემთხვევაში ხეების დარგვას და სისუფთავის მონიტორინგს. აქციაში ჩართული იყვნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის და სამეგრელო-ზემო სვანეთში პროექტის „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში'' წარმომადგენლები, სენაკის პირველი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები. მათ საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაწმინდეს ისტორიული ძეგლის მიმდებარე ტერიტორია. აღსანიშნავია, რომ, რამდენიმე დღის წინ, შხეფის ციხესთან განთავსდა საინფორმაციო ბანერი ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისთვის (ADC) -ს ფინანსური მხარდაჭერით. აქციის მთავარი გზავნილი - გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, მწვანე და სუფთა გარემოს შენარჩუნება და ამ კუთხით მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდაა.

## გრძელდება ხიდის აღდგენითი სამუშაოები



უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დანგრეული უშაფათისა და ეკის დამაკავშირებელი კაპიტალური ხიდის აღდგენითი სამუშაოები. ამ ეტაპზე მონტაჟდება ხიდის კონსტრუქცია. მიმდინარე სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსახლეობას საშუალება ექნება ისარგებლოს განახლებული ხიდით.

## მიკრო და მცირე მეწარმეობის პროექტი ახალი პირობებით განახლდა




სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში, კომპანია „ჯი ემ სი ჯი ინოვას'' სამეგრელოს ოფისის რეგიონალურმა მენეჯერმა ალექსანდრე თოლორაიამ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა. შეხვედრას, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს პროექტის „აწარმოე საქართველოში" განახლებული პირობების განხილვას მიეძღვნა, ადგილობრივი მეწარმეები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. იგი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. 2018 წელს სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნება როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია (ან პირველად მონაწილეობს), ასევე მეწარმე სუბიექტს, ამ მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმოების ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა. იმისთვის, რომ მეწარმეს კვლავ ჰქონდეს გრანტის მიღების შესაძლებლობა, მან უნდა წარადგინოს პროექტი, რომელიც შეეხება მისთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოებას. ცვლილებების შემდეგ, აღარ არის აუცილებელი სამეწარმეო ამხანაგობის შექმნა და ერთ ბენეფიციარს შეუძლია განაცხადი გააკეთოს პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის მთლიან მოცულობაზე. პროგრამის ბენეფიციარის/ბენეფიციართა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 50 პროცენტით, მაშინ, როდესაც პროგრამის ახალი ბენეფიციარის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20 პროცენტით. ასევე, გაზრდილია დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და ნაცვლად 15 000 ლარისა, შეადგენს 20 000 ლარს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური

## 28 აგვისტო–მარიამობა



მართლმადიდებელი სამყარო 28 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში სადღესასწაულო წირვა-ლოცვა შესრულდება.

ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმიდა სამების შემდეგ ღვთისმშობელი მარიამი იდიდება. უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან სამი - ღვთისმშობლის შობა, მიძინება და ყოვლადწმიდა მარიამის ტაძრად მიყვანება უშუალოდ ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

მარიამობის დღესასწაულს ორკვირიანი მარხვა უძღოდა წინ, რომელიც 14 აგვისტოს დაიწყო და 28 აგვისტოს დასრულდა.

საეკლესიო სწავლებით, ღვთისმშობელს მისი მიძინების დღე უფალმა მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ახარა, რომელიც მას ზეთისხილის მთაზე ლოცვისას გამოეცხადა. მთავარანგელოზმა დედაღვთისას ამცნო, რომ სამი დღის შემდეგ მიიძინებდა. ამის დასამოწმებლად კი სამოთხეში დარგული ფინიკის ხის ტოტი გადასცა, რომელიც ღვთაებრივი მადლით ბრწყინავდა. იგი მის საფლავთან უნდა მიეტანათ. ღვთისმშობლის სურვილისამებრ, უფალმა საქადაგებლად წასული წმინდა მოციქულები მიძინების დღეს ღვთისმშობელთან გამოსამშვიდობებლად შეკრიბა. უფალმა ასევე ისმინა ღვთისმშობლის თხოვნა, რომ არ ეხილა ჯოჯოხეთის საშინელებები და ღვთისმშობლის სული ცათა სასუფეველში თავად უფლის ხელით ავიდა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მოციქულებმა გეთსიმანიის ქვაბულში დაკრძალეს. ამ პროცესს თომა მოციქული არ ესწრებოდა. მესამე დღეს მოციქულებმა მისთვის ქვაბულის ლოდი გადააგორეს და აღმოაჩინეს, რომ ღვთისმშობელი უფალმა მკვდრეთით აღადგინა და ხორცით ზეცაში აღამაღლა. ამიტომ ეკლესია ღვთისმშობლის აღსასრულს მიძინებას უწოდებს.

## სენაკის თეატრი რეგიონალურ ფესტივალზე



ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ყოველი წლის ივლისის თვეში ტარდება რეგიონალური თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალი. აღნიშნულ ფესტივალზე სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი აქტიურ მონაწილეობას იღებს. 25 ივლისს სენაკის თეატრმა წარმოადგინა პრემიერა ნინო მირზიაშვილის პიესისა „მაცეკვე ტანგო'', რომლის რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელია კახა გოგიძე, მხატვარი-ლელა ფერაძე, მხატვარ-შემსრულებლები: ემილ გეგენავა, მალხაზ კორთხონჯია. ქორეოგრაფი-მამუკა მესხიშვილი. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: გიორგი- თენგიზ თოფურიძე, ნელი-თამარ აბშილავა, კოტე-ლადო კოკაია, ნატუკა-თამარ ხარჩილავა, ბექა-გიორგი ჭანტურია.

სპექტაკლი განხორციელდა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

სპექტაკლმა კრიტიკოსებისა და დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. წარმოდგენა იყო მსუბუქი, სახალისო, სასიამოვნო საყურებელი, ამიტომაც იყო, რომ ტაში და ოვაციები დიდხანს არ შეწყვეტილა. ამ დღეს სენაკის თეატრმა კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი მაღალი პროფესიონალიზმი.

მარინა ლიფონავა

## თენგიზ ვერულავა

## გოგჩა (ალექსანდრე ჭავჭავაძეს)

დასასრული

გამოქცა ჩაბალახახდილ, დაჩოქებულ, შიშიან ჟამს და "სიყვარულით მტკბარი" ფეერიული ზმანებების სამყაროს მიაშურა. ქაჯთაგან თავისუფალი ვარდ-ბულბულიანი ედემი აწ მხოლოდ ოცნებაში შეიძლება იხილოს.

თავი მოსტაცეს ფერდაკარგულმა ლანდებმა და მწირ თვალებს ისევ მოეახლნენ დროით დათრგუნვილი "ძველი ხილვები". ისევ დაიქროლა წარსული სიცოცხლის ნიავმა და ჭმუნვის ლახვრით გულ-პობილს გარდასულ აჩრდილთა ხსოვნით სიტკბო განუახლა.

იღებოდა კარი გაზაფხულისა. მზის სხივები შლიდა მაისის ვარდებს. ნიავისგან ნაბერი სუნით მთვრალი ბულბულები სტვენდნენ ტრფობას.

"მაგრამ პყრობილმან უწყისა ტრფობა?" – გაიფიქრა გულშეღონებულმა და ცხენიდან ჩამოხტა, ფეხით არჩია სიარული.

გზა ქვევით იწევდა. მშვენიერი სანახები იშლებოდა თვალ-საწიერზე. ფართოფოთლოვანი მუხნარი გადაიარა და მთებს შორის მომწყვდეულ გაშლილ ხეობას მიადგა.

შაჰდაღის და გეგამის ქედებს შორის ლივლივებდა გოგჩის ვრცელი ტბა. მისი აღქაფებული ტალღები ზღვასავით გამოსცემდნენ ხმას. აცერებული კლდიდან გადმოხედა ტბის თავანკარა ზედაპირს. უწყინარი სივრცით მოინუსხა, გაირინდა მეფური დიდებულების შემყურემ.

ტბის სარკისებრ მკერდზე ირეკლებოდა ცისა ლაჟვარდი და მწვანით მოსილი ხეობა. შეუცნობად კაეშანს მოეცვა უშფოთველად გაწოლილი ტბა.

კლდის ქიმზე სამეფო პალატთა ნანგრევები იდგნენ. უხორცო, ჩონჩხადქცეული გვამებივით გადმოჰყურებდნენ ჩამუქებულ ტბას. სევდა და დიდებულება ერთად დასტყობოდა ნასასახლარ ნაშთებს, ხავსგადაკრულ ლოდებს, ძაძით მოსილ ნაქცევებს, ჩაშავებულ ქვებს.

საკვირველი არქიტექტურის ჩანდა ეს ნაგებობა. ცხადი იყო, ძლიერების ჟამს აქ ჰყვაოდა ქალაქი ვრცელი, ციხე-დარბაზებითა და მდიდრად წყობილი სავაჭროებით. ქარავნები დადიოდნენ უშორესი გზებიდან. მომგებლობის ხელოვანნი არათუ ვერცხლით, ნდობითაც იყვნენ განთქმულნი დიდვაჭართა შორის. აქ იმართებოდა ტაიჭთა სრბოლა, ასპარეზობა, ჭაბუკ მხედრების გამოსაცდელად ჩოგნით ტაცება, შუბთა ტრიალი, ჯირითთა ტყორცნა და ისართ სროლა.

ახლა კი, ყველაფერი ეს ტკბილი მოგონებაა და გარდასული დიდების მოწმედ მხოლოდ უტყვი ნანგრევებიღა დარჩნენ. ჟამთა უკუღმა სვლას გაეუდაბურებინა, ოდენ ბუთა თავშესაფარ ადგილად ექცია.

"ეჰა, ჩვეულნო ყოფნას დიდებით, აწ რად ხართ ბურვილ ჭმუნვის რიდებით"?

ტაძრის მორღვეულ კედლებს შორის ხეებს გაეწვდინათ ტოტები. ყვავები შესეოდნენ ჩაბნელებულ ხეთა წვეროკინებს. ყრანტალით ბოინობდნენ ნანგრებებზე. მაღალი ბალახით დაფარულიყო ქვის აცვენილ იატაკი. სუროს მოეცვა ნახევრადჩამოშლილი საკურთხევლის მხარე. დახეთქილ კამარებზე ღამურებს დაედოთ ბინა.

იყო დროება, როცა აქ მეფენი მოწიწებით იდრეკდნენ მუხლებს და ღვთის დიდებას აღავლენდნენ. ტკბილი ხმანი ფსალმუნთა გრგვინავდა ცისა მიმართ.

დღეს ეს ნაქცევი ტაძარი თავშესაფარია მხოლოდ პირუტყვთა, ნადირთა, მხეცთა. ზოგჯერ გზადმიმავალი მეჯოგე აქ შეაფარებს შორით მოყვანილ საქონელს.

მზე დასალიერისკენ იწურებოდა. ღამე ჩამოწვა. ვარსკვლავებმა იწყეს ციმციმი ფერმკრთალ ცის ტატნობზე. მთათა მწვერვალებიდან მთვარე ამოცურდა და ჭირისუფალივით დაადგა სამყაროს, შუქნი ნელნი მოჰფინა მიდამოს. ჩასთვლიმა ბუნებამ და ამ მკვდარ ძილს ტბაზე მორონინე ჭავლების მსუბუქი რხევა აკრთობდა მხოლოდ.

ციცაბოდ დაეშვა ტბისკენ. ცხენი დასალევად მიუშვა. პეშვით აიღო ცივი წყალი, სახე გაიგრილა. სასოებით ჩააცქერდა ვერცხლისფრად მოციმციმე ტბის ზედაპირს. სამეფო პალატთა ნანგრევნი ნარცისივით იჭვრიტებოდნენ წყალში.

ისევ მოეძალა სევდა. სწორედ ახლა მთელი სიცხადით იგრძნო თუ როგორ მიექანებოდა უფსკრულისაკენ წარსული დიდების ბოლო ნაშთი. ნაღვლიანად გააქნია თავი. თვალს ვერ უსწორებდა ნანგრევთა მზერას მწუხრის იისფერ ტბის სარკეზე. ასე ეჩვენა, რაღაც საშინელ საიდუმლოს ფარავსო ტბაზე გაკრული ლანდი ჩამოქცეულ პალატთა.

ღრუბლები გროვდებოდნენ ტბის თავზე. აგრუხუნდა ცა. ნათელმა გაჰკვეთა ბინდი. ატყდა ჭექა-ქუხილი.

ჩრდილოეთის ველური ტრამალებიდან მოვარდა მსუსხავი, ცოფიანი ქარი და პირსისხლიანი ძაღლივით ეძგერა ძველთუძველეს პალატებს.

თითქოს რაღაც მძიმედ ჩამოიქცაო უმრუმესი ციდან, ნგრევის ხმა გაისმა. ღამურები გამოფრინდნენ თაღებიდან, ბნელში იწყეს რიალი.

შეტორტმანდა კამარა, შეირყნენ თავწაჭრილი სვეტები, გაიბზარა დავარდნილი კედლები. ჩამოინგრა საძირკველმოშლილი გუმბათი.

თავბრუდამხვევი შხუილით ტბაში ცვიოდნენ, იძირებოდნენ ნანგრევები.

თითქოს კოშმარული სიზმრიდან გამოერკვა, დამფრთხალ ცხენს დაჰკივლა მხედარმა და გველნაკბენივით გაეცალა ხახადაღებულ, ყოვლთამყლაპავ ტბას.

თხემზე ავარდა. თავი წაართვა ბორგნეულ ქარს და უკანასკნელად გადმოხედა გოგჩის აქუხებულ მიდამოს. მშუშხავ გრიგალს უკვე მოეტიტვლებინა ნანგრევთა ადგილი, მრუმე წყლის მორევს შთაენთქა სამეფო პალატთა უკანასკნელი ნაშთი.

## ხობში ,,ცოტნეობა,, აღნიშნეს

12 აგვისტოს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღეს აღნიშნავს. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი) ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ საკათალიკოსო სასახლეში პოეზიის საღამო გაიმართა. ტარიელ ხარხელაურმა, პეტრე კოლხმა, ლაშა გვასალიამ, ბესარიონ ჩანქსელიანმა, ია ნანეიშვილმა და დიკა სალაყაიამ საკუთარი



ლექსები წაიკითხეს. საკათალიკოსო სასახლეში მოეწყო ხატმწერ ქეთი ყურაშვილისა და თვითნასწავლ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა. „ცოტნეობის" დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდნენ.

## ანასტასია მიქაბერიძე

„დაბადების დღეს გილოცავ ჩვენო სულისა და გულის ნაწილო, ჩვენო დიდო ტკივილო და მონატრებავ.... ტასუნა გული და სული მტკივა მამიდა..... წუხელ შენი სასაფლაო გადანათებული იყო სანთლებით..12 წლის გახდი... " ვკითხულობთ მარიკას ამ სულისშემძვრელ სტრიქონებს და გული გვტკივა, ცრემლები გვიწვავს ღაწვს, მივჩერებივართ შენს პორტრეტს, არ გვჯერა რომ იმიერი საუფლოს ბინადარი ხარ.

ჩვენო ცეროდენა გოგონა, ანგელოზის დარო, ყველანი(შენი მამიდას კოლეგები) შეძრულნი ვართ შენი გარდაცვალებით, მართალია არ გიცნობდით, მაგრამ თორმეტი წლისას რა გაცნობა უნდა, შენ უნდა გეცოცხლა, გეხარა, მამულს ღირსეულ ასულად მოვლენოდი.

ჩვენო მარიკა, გითანაგრძნობთ, გვინდა შენს ტკივილს სალბუნად დავედოთ და გვერდში დაგიდგეთ, ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს და სასუფეველი გაუნათოს ანასტასია მიქაბერიძეს!

„კოლხეთელები"





საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გოგიტა მზარელუას მამის

**ანტონ (დამირ) მზარელუას**

გარდაცვალების გამო

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნატო ბერიას, თამილა ბურსულაიას ძმის და სიძის

**ბადრი ბერიას**

გარდაცვალების გამო

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

**რედაქციის მისამართი:**
**სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150**
**რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.**
**ინდექსი 66529**

**რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში**
**რეგისტრაციის № 56/7-17**
**გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა"-ს სტამბაში**
**ქ.ფოთი წმ.ნინოს №4**
**ტელ: 5 (493) 22 24 33**

*სენაკის მეორე საჯარო სკოლის ქართული სიტყვიერების მასწავლებელი, ქალბატონი ლუარა ჯიქია გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, შემოქმედებითი უნარით, ინდივიდუალიზმით.*
*ნოვატორი მასწავლებლის გაკვეთილებზე „სულ სხვაგვარი ხედვა" და მოვლენების სწორად გაგების ზოგჯერ არაორდინალური უნარი ჩანს. ლუარა მასწავლებელი „არავის ჰგავს". განსხვავებულები და გამორჩეულები არიან ის მოსწავლეები, რომლებმაც უდიდესი სულიერი საზრდო მიიღეს პედაგოგისაგან.*
*მკითხველს უდაოდ დააინტერესებს წარმატებული პედაგოგის წერილი. გაზეთ „კოლხეთის*
*რედაქცია ახალი სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს ქალბატონ ლუარას და მორიგ წარმატებებს უსურვებს რთულ, პროფესიულ გზაზე.*

# უფლისწული და 2018 წლის კურსდამთავრებულნი

*„დილით გამოვაღე ყველა ფანჯარა,მზეს შევხედე და მხოლოდ ერთი ლოცვა ვთქვი გულში-ჩემი სამშობლო, ჩემი სამშობლო, სამშობლო ჩემი..."*
*(იაკი კაბე,ტანკები)*

იდეა ამ წერილისა ფრიად ამაღლებულია, რადგანაც ამდენადვე ზეაწევნილია ის უფლისეული,რასაც ადგილის დედისა და შვილთა მისთა ურთიერთობა ჰქმნის. ამჯერად ქალაქს ჰყავს ახალი კურსდამთავრებულნი, რომელთაგანაც ქვეყანა, თავალთა მათთა მაცქერალი და მოიმედე, გამოელის ულევ წარმატებას, ულევ აღტაცებას სამსახუროდ მრავალჭირნახადი სამშობლოსი და სათაყვანებლად უფლის, რომელიც მარად იყო, აქამომდე,

**მარადის ჰგიეს აღსაყვავებლად საქართველოსი და ასულ-ძეთა მისთა.**

მე, მასწავლებელი, მრავალგზის გამოცდილ-მორჩუდუნე ამ ღვთისშვილთა გამოზრდა-აღზრდა –განათლებისათვის, ვთაყვანებ უფალს, უდიდესს,

უფალს-უმაღლესს, უფალს-უმშვენიერესს და უსასრულოდ საწყაოს სიკეთისას, უფალს-ეტალონს ყოვლისას, ამდენი ახალგაზრდის გამოზრდა-ამაღლებისათვის!

განა რას წარმოადგენს ერთი მასწავლებლი თაყვანება საუფლო საქმეში აღზრდა-განვითარებაში შემწეობისათვის, მაგრამ მწამს, მტკიცედ მწამს, რომ სრულად საქართველოს მასწავლებლობა და, ასევე, კაცობრიობის სრულიადი მასწავლებლობა თაყვანსა სცემს ზენაარს უფლისეულის გარდამოსვლისათვის მოსწავლეთა ოჯახებზე, სკოლაზე,



მასწავლებლობაზე და თავად მოსწავლეებზე, რომელთა სიკეთის გამთლიანებით, სიკეთის კონცენტრირებით მასწავლებელ-მოსწავლე და მოსწავლე-მასწავლებელი ერთ საკითხს „სწონიდნენ" სისწორ-სიმრუდით. ამ დროს უფალი სუფევდა გაკვეთილზე, რასაც ბავშვებიც მოსწავლეებიც გრძნობდნენ და გამოხატავდნენ ზარის დარეკვისას: ვაიმე ,ჩამოვცვივდით, მასწავლებელოო!

უფლისეულით მოაზროვნე და უფლისეულში მოხეტიალე მოსწავლე-მასწავლებელი გადალახავდა ასაკისმიერ შესაძლებლობას და შერთვოდა აზრთა განსჯის გენიოსთაებრ სარანგებს.

ასეთი გაკვეთილები უამრავად ყოფილა სენაკის(საქართველოს) პლანეტის ურიცხვ გაკვეთლზე, სადაც ხდებოდა კონსოლიდირება მასწავლებლის ზეაწევნილი მიმართებისა მასწავლებლური ღვაწლისადმი,მოსწავლის ღვთითბოძებული კეთილი საწყისებისა და შეუმეცნებლად-ქვეშეცნეულად არსისა უფლისეულისა.

ეს სამება ატარებდა პლანეტის უწარჩინებულეს მასწავლებელთა ყოველ ზეაწევნილ გაკვეთილს 12 წლის მანძილზე, ვიდრე-დღემდის (კურსდამთავრებულნი იგულისხმებიან) მასწავლებელთა ღვაწლი გადაიტანებოდა მოსწავლეებში, რომელთა შორისაც სუფევდა ზენაარი-უმშვენიერესის ეტალონი.

განა არ ეკუთვნის მოწონება-მოკრძალებითი თაყვანისცემა შემოქმედს ყოვლისას და წარმმართველის ჩვენი ზეაწეული გაკვეთილებისას?!- სწორედაც: მხოლოდ უფლისუფევით, უფლისსუფევასა და სათნოებაში ტარდებოდა ყველა ამაღლებული გაკვეთილი, რათა შთაბეროს სული უწმინდესი, სული უზეშთაესი ბავშვებს/მოსწავლეებს, რომელთაც ჯვარად საპატიოდ ესახებად საქვეყნო მოვალეობანი, ღირსებები და სამომავლო ფიქრ-განსასჯელი. მათი, დღევანდელ კურსდამთავრებულთა, მოვალეობა მრვალმხრივია, კერძოდ: სული შთაბერონ საქვეყნო პრობლემებს, გადასწყვიტონ ზოგადსაკაცობრიო სამყოობადო ფიქრები, მხარი აუბან დროის მოთხოვნებს და, მთავარი: დაიცვან წინაპართა სიკეთე-დიდებულება-ღირსება შეულახველად ეროვნულ-კულტურული საგანძურისა და ჰპოვონ ახალი, ისტორიული მწვერვალებით განპირობებული

**„აწმყო, შობილი წარსულისაგან,**
**აწმყო, მშობელი მყოობადისა (ილია)**

დღეს კოლხეთის მიწაზე, დღეს სვანეთის მიწაზე, დღეს ქართული მთისა და ბარის მიწაზე, დღეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დღეს ისტორიული საქართველოს მიწაზე ზეიმობს ერი და ბერი გამო იმისა, რომ ათასობით ახალგაზრდა შეემატა ქვეყნის მსახურებისათვის მოღვაწე ქართველთა და არაქართველთა საერთო ამაღლებულ რუდუნება –მსახურებას.



ჩვენ, სენაკის მასწავლებლობა, დიდი მოწიწებით ავღნიშნავთ თითოეული მასწავლებლის საერო და საკაცობრიო იდეებით განმანათლებლურ მოღვაწეობას წინაშე ყოველი ქართული სოფლისა, წინაშე ყოველი ქართული და არაქართული სკოლისა, წინაშე მთისა და ბარისა საქართველოსი და უაღრესი კოლეგიალობით, პატივითა და მოკრძალებით ვჰთაყვანებთ უფალს ჩვენი მასწავლებლური ჯვარის ზიდვის შესაძლებლობისათვის: დიდება, დიდება, დიდება-შენდა, უფალო, ყოველი წერტილის მეუთვალავედისათვისაც რაც გარდმოავლინე ჩვენზედ ჩვენი რთული და საპატიო საქმის აღსრულებისათვის!

ძვირფასო ქალაქო, ადგილის დედაო, შენა ხარ ჩვენი სავანე, სადაც ასეთი, უფლისეულად დაკავშირებული, მასწავლებელ-მოსწავლე, სკოლა-მოსწავლე, ოჯახი –მოსწავლე და საზოგადოება-მოსწავლე ცხოვრობს.

ფასდაუდებელო დედაო ადგილისავ, შენს უბეში გავჩნდით, შენს უბეში გავიზარდეთ და აღვიზარდენით, შენს უბეშივე დავფრთიანდით.

მდაბალი თაყვანისცემა ჩვენი-შენ, მშვენიერო და უსათუთესო!- ფიქრობენ ყველანი: კურსდამთავრებულნი, მასწავლებელნი, სკოლები, ბაღები, კულტუ- რის გამავრცელებელნი: ცეკვის(ქორეოგრაფიული)სტუდიები, სამუსიკო სკოლა, ეთნოგრაფიული საზოგადოებები, საზოგადო მოღვაწენი, ქვეყნის მსახურებით დამაშვრალი პიროვნებები და , საერთოდ, საზოგადოება სრულად ადგილის დედისა, სრულიად საქართველოსი.

ჩვენ –მასწავლებლები, ჩვენ სკოლა ვულოცავთ ერთმანეთსაც და ყოველ წევრს საზოგადოებისა შვილთა/მოსწავლეთა ჩვენთა გამოზრდასა და განვითარებას ახალ საგანთა მისაწვდენად.



ფოტოებზე ასახულია შ. შარტავას სახელობის ქალაქ სენაკის №2 საჯარო სკოლის გამოფენა, მიძღვნილი XIIა და XIIბ კლასის მოსწავლეთა ბოლო ზარისადმი. მას დაერქვა –გამოფენა „2010-2014,"რადგანაც მასში აისახა XIIა და XIIბ კლასის მოსწავლეთა აქტივობანი მათი ცხოვრების V–VIII კლასში ყოფნისას.

გამოფენა გადმოსცემს ჩვეულებრივ დავალებებს 4 წლის მანძილზე, რაშიც ორივე კლასის ყველა მოსწავლე(ყველა მოსწავლე-ფრიად მნიშვნელოვანი ასპექტია სწავლებისა-ლ.ჯ) მონაწილეობს, ჰქმნის რა სქემებს, ასოციაციურ რუკებს, დიაგრამებს, ახდენს გააანალიზებას, აჯერებს აზრებს, ცხადია, უშვებს შეცდომებსაც(რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის განვითარებაში-ლ.ჯ.) ეძიებს ბარიერთა დაძლევის გზებს, ილვწის, რუდუნებს, რათა „იპოვოს": ნატვრისთვალი ანუ იხილოს ტაძარი.

ზოგი ნამუშევარი არასწორადაა აგებული, მაგრამ მასში იხედება მოსწავ სულის გარდასახვა სიკეთისაკენ-ამადაც ღრმადფასეულია მოსწავლის განვიტარების გზაზე და ფრიადსაყურადღებო მასწავლებლისათვის, რათა იგი უკეთ ჩასწვდეს პრობლემებს მოსწავლისა.

გამოფენა „2010-2014" სიურპრიზად მოვუმზადე ჩვენს ნასათუთებ გოგო-ბიჭებს, რათა მოჰგონებოდათ თავიანთი ღირსეული ბავშვობა, ეგრძნოთ ბალღობა-მოზარდობის სურნელი და სუნთქვა, დაედასტურებინათ კეთი ლითშთაგონებულობის მარალი სარანგი თავის არსებაში და იმედიანად განეგრძოთ თავიანთი ჯერ შეუმეცნებელი ცხოვრების სავალი გზა.

მოსწავლეების ერუდიციას განამტკიცებდა მათი ნამუშევრები სახვითსა და გამოყენებით ხელოვნებაში: რა არ იყო ამ გამოფენაზე?!-ფერწერა, პერსპექტივის კანონებით აზროვნება, გრაფიკული ნამუშევრები, დინამიკა-სტატიკა, აბსტრაქცია, პორტრეტის ჟანრი, პეიზაჟები, კლიპირების უნიკალური ნიმუშები, შემაჯამებელ დავალებათა ნაწილები, მოსწავლეთა გამოხმაურება 2008 წლის ომზე, შშ საჭიროების მოსწავლეთა არაჩვეულებრივი ნამუშევრები, ქაოსი, მუსიკა, ფორმა, მოცულობა და ყველაფერი, რასაც ხელოვნება ეწოდება.



ფრიადმომხიბვლელი აღმოჩნდა ჩემი ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან ერთ-ერთ გამოცდაზე. კითხვა ასეთი იყო:

რას წარმოადგენს თქვენთვის სკოლა?

პასუხები: ერთნი ამბობენ: სკოლამ ცხოვრების გზა მაპოვნინა

მეორენი-ჩვენ ვერ აღვწერთ სკოლის დამსახურებას ჩვენს აღზრდაში, რადგანაც ეს შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია ყოველი სულიერების გამიწიერება.

მესამენი-მე ახალი ოჯახი მაპოვნინა სკოლამ, ესენი ჩემი მეგობრები არიან. არა მხოლოდ კლასელნი, არამედ ჩვენი მასწავლებლები და საერთოდ სკოლა.

მეოთხენი-ჩვენ კეთილ ადამიანებად აგღვზარდა სკოლამ. უღრმესი მოწიწება ჩვენს სკოლას და საერთოდ, ყველა სკოლას!

ყველას სურდა თავის სულიერების გამოხატვა სკოლასთან დაკავშირე- ბით, ისინი იმასაც არ ივიწყებდნენ, რომ სკოლასც მართავენ დაწესებულებები უმაღლესი: საქართველოს მეცნიერთა და მასწავლებელ-მოსწავლეთა განათლების სამინისტრო, მათდამი დაქვემდებარებული რესურსცენტრები, ასევე –კულტურის განყოფილებები, ქორეოგრაფიული და სამუსიკო სკოლები, ახალგაზრდობის სახლები, თეატრალური და პოეტური საზოგადოებები, ეთნოგრაფიული თუ ბიბლიოთეკური სამსახურები. ყველა ერთმანეთს შეაწევდა სიტყვას, რათა მადლიერება არ დაჰვიწყებოდათ ყოველი წერტილის მიმართ, რომელთა ერთობლივი შრომა-ღვაწლით იკვებებოდნენ ისინი, XII კლასის მოსწავლეები, ბაღიდან მომდინარე 17 წლის მანძილზე.

მე, მათ მასწავლებელს, მხიბლავდა ის, რომ ისინი ცდილობდნენ არავინ დაჰვიწყებოდათ, არავინ გამორჩენოდათ, ცალ-ცალკეც ასახელებდნენ ბაღის აღმზრდელებს, პირველ მასწავლებლებს(სკოლისას), მომსახურე პერსონალს, რომელთა მზრუნველობა არასდროს დაჰკლებიათ.

ბოლოს ისიც კი გაიაზრეს, რომ წლები იმასაც დაანახვებს მათ, დღეს 17-18 წლის ადამიანებს არც ისე გაეგებათ, მაგრამ რისთვისაც რუდუნებდნენ, ათენ –აღამებდნენ ყველანი: ოჯახი, სკოლა, საზოგადოება სრულად.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია დიდი სიყვარულით ულოცავს ქალაქს, სკოლებს, ოჯახებს, საზოგადოებას ამდენი კეთილი ახალგაზრდის გამოზრდა-აღზრდას.

მე მასწავლებელი ლუარა ჯიქიქე, დაგლოცავდით ენითაღუწერლად, ალბათ ტომებშიც ვეღარ ჩავატევდი სურვილებს თითოეულის მიმართ, მაგრამ ამჯერად უფალს-ზენაარსს შევსთხოვ თქვენს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, როგორც პოსტულატს ღვთაებრივს, შემდგომ კი მხოლოდ ერთი მინიატურით დაგემშვიდობებოდით. იაპონელი პოეტის იაკი კაბეს აზრია: „დილით გამოვაღე ყველა ფანჯარა,მზეს შევხედე და მხოლოდ ერთი ლოცვა ვთქვი გულში-ჩემი სამშობლო, ჩემი სამშობლო, სამშობლო ჩემი..."

ინებოს უფალმა, რომ არ დაგვიწყებოდეთ არც ადგილის დედა, ათასწლეულობით ტანჯული კოლხეთი, არც-სცანეთი, არც საქართველო და არავის ეთქვას:თუ საქართველოა-სად არიან ქართველებიო?

მარად თქვენზე მლოცველი დედა ადგილისა, ოჯახი, სკოლა, საზოგადოება. სრულიად საქართველო.

მათი სახელით-ლუარა ჯიქია,
შ. შარტავას სახელობის ქალაქ სენაკის №2 საჯარო
სკოლის მასწავლებელი ქართული სიტყვიერებისა

## „ჩვენი ერთგული მეგობარი"

„კოლხეთი" სენაკელთა საამაყო გაზეთია. იგი თითქმის საუკუნეა არსებობს და არასოდეს დაუკარგავს აქტუალობა. თეატრალებს გვიყვარს გაზეთი „კოლხეთი", იგი ხომ ჩვენი ერთგული მეგობარი, ჩვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელია.

გაზეთთან სენაკის თეატრის მეგობრობა ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო და დღესაც გრძელდება. გაზეთს სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც გული შესტკიოდათ სენაკის თეატრზე და გულწრფელად ახარებდათ მისი ყოველი წარმატება. თეატრის ყოფილი დირექტორი, ჩვენი უსაყვარლესი პიროვნება, სენაკის კოლორიტი, ბატონი თამაზ კანკია, ხომ გაზეთ „კოლხეთის" რედაქტორი იყო. მან კიდევ უფრო დაგვაახლოვა რედაქციასთან.

სიამოვნებით ვიხსენებთ იმ ბედნიერ დღეებს, როცა ბატონი თამაზი ორივე ორგანიზაციას ერთდროულად მართავდა

გაზეთ „კოლხეთს" და რედაქციის თანამშრომლებს ვულოცავთ 95 წლის იუბილეს. ვუსურვებთ შემოქმედებით წინსვლას, წარმატებებს. მომავალში კიდევ უფრო გაბრწყინებული, შემოქმედებითად დატვირთული, საინტერესო და ამაღლებული დღეები გქონოდეთ.

სენაკის აკაკი ხორავას
სახელობის პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრი

## აღინიშნა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე



ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღნიშნა ასოციაცია "დეამ" საქართველოს პარლამენტის წევრთან,სენაკის მაჟორიტარ დეპუტატთან ირაკლი ბერაიასთან პროექტის "ახალგაზრდები უკეთესი განათლებისთვის "ფარგლებში. პროექტი განხორციელდა "ევროკავშირი საქართველოსთვის" და "World Wizion" ფინანსური მხარდაჭერით. პროექტში ჩართული არიან სენაკის № 1 საჯარო სკოლის მოსწავლეები პედაგოგ მამუკა კუჭავას ხელმძღვანელობით და ძველი სენაკის საჯარო სკოლის მოსწავლეები. არაფორმალური შეხვედრა შედგა მაჟორიტარის ბატონი ირაკლი ბერაიას ინიციატივით. არაფორმალურ შეხვედრაზე "აღმოაჩინე მწვანე" პროექტის კოორდინატორმა გვანცა მალანიამ ისაუბრა განხორცილებულ აქტივობებზე,ახალგაზრდებმა გააცნეს პარლამენტარს თავიანთი შეხედულებები გარემოზე, ახალგაზრდების ჩართულობაზე კულტურულ და სხვა აქტივობებში,წარმოაჩინეს თავიანთი ნამუშევრები ,დაუსვეს "მწვანე კითხვები "მაჟორიტარს. ასევე დაინტერესდნენ თუ რა იყო მაშინდელი ახალგაზრდების ინტერესების სფერო,რით ერთობოდნენ თავისუფალ დროს ახლგაზრდები,იყო ბევრი სახალისო და შემოქმედებითი აქტივობები.ბატონმა ირაკლიმ კმაყოფილება გამოხატა შეხვედრის ორგანიზებისათვის და ახალგაზრდების ინიციატივებისა და მიზანდასახულობისათვის.ბატონმა ირაკლიმ მისცა მათ რჩევა,რომ გამოიყენონ ყოველი წუთი განათლების მისაღებად,იკითხონ მეტი და დარჩნენ ისეთივე აქტიურები,როგორც დღეს არიან. მან ახლგაზრდები მიიწვია საქართველოს პარლამენტში,სადაც ისინი გაეცნობიან საპარლამენტო კომიტეტების საქმიანობას და დაესწრებიან გარემოსდაცვის კომიტეტის სხდომას.შეხვედრით კმაყოფილი მონაწილეები სულმოუთმენლად ელოდებიან მორიგ შეხვედრას პარლამენტის წევრთან,უკვე მის სამუშაო გარემოში-საქართველოს პარლამენტში.

თამარ მალანია
ასოციაცია "დეას"თავმჯდომარე

## გილოცავთ!

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის უხუცეს, წამყვან, მსახიობებს: ქალბატონ გულნარა ლოხიშვილსა და ბატონ ჟორა დამენიას ვულოცავთ დაბადების დღეს.

ჩვენო ძვირფასებო! შეუფასებელია თქვენი ღვაწლი ჩვენი თეატრის წინსვლის საქმეში. თქვენ ჩვენი თეატრის საამაყო მსახიობები ხართ. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, ჯანმრთელობა და საინტერესო როლები არ მოგაკლოთ, კვლავაც ბევრჯერ გაგეხარებინოთ თქვენი ერთგული მაყურებელი.

თეატრის მეგობრები

## ეთნოგრაფიული ექსპედიცია სოფელ ხორშში

„სიძველისადმი ბრძნობა, პატივი, თუ შენში მაინც, ოდნავ ელვარებს".

სენაკის მუნიციპალიტეტის, ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულს, აგვისტოს თვის პირველ ნახევარში, ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის და ეთნოგრაფიის თანამშრომლები ეწვივნენ. რომლის შემადგენლობაში შედიან მეცნიერები და მკვლევარები.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლავთ-ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დავით ჭითანავა. კოორდინატორი-სოხუმის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი ბეჟან ხორავა.

შ.რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი „სამეგრელო სოფელი ძველად და ახლად", რომლის წარმომადგენლები არიან ახალგაზრდა მომავალი მეცნიერები-ქეთევან ციმინტია და იოსებ შენგელია, ექსპედიციის ხელშემწყობი და დამხმარე ბაბუში როგავა.

ექსპედიციამ დიდი და საშური საქმე გააკეთა. ექსპედიციები ადრეც ყოფილა სოფელში, მაგრამ ისტორია ერთ ადგილზე არ დგას, იგი ვითარდება და წინ მიდის, იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობაც.

ექსპედიციის მიზანი იყო მოსახლეობის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლა. ექსპედიციამ სოფელ ხორშში შექმნა მეტად საინტერესო და ღირებული კორპუსი, კარდაკარ შემოიარეს სოფელი, შეხვდნენ ჯერ კიდევ შემორჩენილ უხუცეს ადამიანებს. მოიპოვეს მასალათა უამრავი მეცნიერული კომპლექსი, რომელსაც დიდი ღირებულება აქვს, როგორც ისტორიული, სოციოლოგიური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. მართალია სოფლიდან სიდუხჭირის გამო დიდი მიგრაციაა, განსახლდა ხალხი ქალაქებში, მოხუცები გარდაიცვალნენ, დააიკარგა ბევრი ეთნოღირებული და საინტერესო ისტორიული ცნობა, რომელთა აღდგენა არავითარი საშუალებებით არ შეიძლება, რაც ძალიან სამწუხაროა.

ექსპედიციის წევრებმა მადლობა გადაუხადეს სოფლის ხელმძღვანელობას, რწმუნებულს თენგიზ მატახერიას, სოფლის აქტივისტს ანდრო კანკავას, სტუმრების მასპინძელს ვახტანგ გვასალიას, მოსახლეობას-სანიმუშო დახვედრისა და სტუმართმოყვარეობისათვის!

რაც მთავარია შესწავლილ იქნა სოფლის სოციალური, ეთნოგრაფიული და სამეურნეო ტრადიციები.

ბიჭიკო თუნთია,
ექსპედიციის თანამონაწილე

## მოსაზრებები თუ ილუზია

ამ წერილის მიზანია გამოვხატო მადლიერების გრძნობა, გაზეთ „კოლხეთის" 2018 წლის № 12-13 ნომერში დაბეჭდილ წეილზე სათაურით „ტომარა ოქრო და დიდი წიგნები", სადაც აღწერილია ამერიკელი სტუმრის სტუმრობა, რომელსაც, თურმე ჩვენამდე აფრიკაში უმოგაზურია და ახლა კავკასიელ „პაპუასებს" მოადგა განმანათლებლად, ჯერ კითხვა-წერის მნიშვნელობასა და საწერ საშუალებებზე. (ეტყობა წერა-კითხვა ბავშვთა დასაჩლუნგებლად გამოიყენებოდა), მართალია ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იაკობ გოგებაშვილი „დედა ენის" წინასიტყვაობაში წერდა:„ჩვენ ვცდილობდით საკითხავ მასალას, ერთის მხრივ,ჰქონოდა მიმზიდველი ძალა და მეორეს მხრივ მის შინაარსს წარმოედგინა არა ღარიბი მასალა ბავშვის გონების განვითარებისათვის", მაგრამ, თურმე, ნუ იტყვით გოგებაშვილი იმდენს რას შეძლებდა, რომ ბავშვებს კრიტიკულად ეაზროვნათ.

სტატიამ ჩემს მეხსიერებაში ამოატივტივა ჩემი ნააზრევი „ფიქრები განათლების სისტემაზე", რომელიც გაიგზავნა გაზეთ „ახალი განათლების" რედაქციაში.

პედაგოგიურ სარბიელზე ხანგრძლივი და მრავალმხრივი ფიქრისა და მუშაობის პერიოდში ჩემში ჩამოყალიბდა გარკვეული შეხედულებები არსებული ხარვეზებისადმი,ასე მაგალითად, ყურადღება მისაქცევია წიგნებზე, ზოგჯერ 5-6 წიგნის წონა მოსწავლისათვის ყოველდღიურად სატარებლად მძიმეა, რაც მოზარდის დამახინჯების ტოლფასია. აგრეთვე სახელმძღვანელოში შეტანილია დამატებითი საინტერესო მასალები, ასე რომ მივსდიოთ თითოეულ საგაკვეთილო თემატიკას, გარდა იქ მოცემულისა, მრავალი სხვაცაა საჭირო საკითხავად, მაგრამ მათი მოთავსება სახელმძღვანელოში შეუძლებელია. თანაც დღევანდელ ინტერნეტსივრცეში მრავალი სხვადასხვა საინტერესო მასალების შესახებ არის ინფორმაციები.

მაქვს მოსაზრებები შემდეგი საკითხების გარშემო.

1. რომ სახელმძღვანელო დაიბეჭდოს ყოველწლიურად და კი არ მიეცეს მოსწავლეს(რომელსაც ისევ ჩამოართმევენ ხოლმე წლის ბოლოს), ეს მიცემა კი არ არის, არამედ ნათხოვრობაა, ჯობია ბავშვმა თვითონ იყიდოს წიგნი,რომ ეს წიგნი მას დარჩეს სახლში და თუ დასჭირდა ზაფხულშიც ჩაიხედოს მასში.

2. ამ დიდი წიგნების საფასურად გამოუშვან დამატებითი მასალები თითოეულ საგანში დამატებითი სამუშაოების ჩასატარებლად. ეს მასალები დართული იყოს ცალკე მასალად სახელმძღვანელოს.

კარგი იქნება თუ პედაგოგები გამართავენ დისკუსიას თქვენი გაზეთის მეშვეობით და გამოთქვამენ მოსაზრებებს.

ამით შესაძლებელია არსებული ხარვეზები გამოსწორდეს.

თქვენი გულითადობის მადლიერი ვარ გაზეთ „კოლხეთის" რედაქციავ".

მერი გვასალია,
თქვენი აქტიური მკითხველი

თენგიზ ვერულავა

## გოგჩა (ალექსანდრე ჭავჭავაძეს)

***ჩვენი თანაქალაქელის, მწერლის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ბატონ თენგიზ ვერულავას ნაწარმოებში „გოგჩა" ნათლად იკვეთება უდიდესი მოკრძალება წარსულისადმი, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და ნოსტალგია წარსულის დიდების ბოლო ნაშთის ხილვით გამოწვეული***

მოქურუხებულ ცას ტალებად აჩნდა ღრუბლები. მკრთალი მზე ანათებდა შაჰდაღის ქედს ზემოთ,ძლივს ატანდა ხეობაში ჩამოწოლილ ნისლებს.

ყარაბაღულ ბედაურზე ამხედრებული მხედარი მიაჭენებდა მთის უგზო ფერდებზე. ცხენის ალღოს მიჰყვებოდა, მიდიოდა, მაგრამ არ იცოდა სად.

სადავე მოქაჩა, ქარაფებს მიაგდო ცხენი, მწვანე კორომებით დაფარულ ხევს გადმოხედა. ქვევით მდინარე მოარღვევდა უფსკრულებს, მაგრამ სქელი ნისლი ფარავდა და მისი ხმაური ძლივს აღწევდა.

შორს მოჩანდა კავკასიონი,ორ ზღვას შუა გოლიათად გაწოლილი, მთაზე დამდგარი მთების ზურგით მზიდველი. ყინულოვანი მწვერვალებიდან მოსქდა ათასწლოვანი თოვლისგან შეკრული ზვავი. ყინულ-ლოდთა ბორცვებმა დაქანებულ ფერდებზე იწყო სრიალი. ცას წვდებოდა თოვლის მტვერი.

შავჩოხოსან მხედარს შავი ნაბადი წამოეგდო მხრებზე. მეფისტოფელივით გადაჰყურებდა მწვერვალებს შეფენილ ნისლთა ზღვაურს.

"ჩრდილოს ფაშატებმა" შელეწეს დასაბამითგან შეუვალად ცნობილი კავკასიის წიაღი. რუსთ მხედრად აღზრდილი ციციშვილი რომ მოადგა მიუვალ ზღუდეს, თერგმა და სალმა კლდეებმა ფართოდ გაუღეს კარი. გადამთიელი ბარბაროსნი არ მორიდებიან უძირო უფსკრულებს, აცერებულ ჭიუხებს. ქვათამკვეთელი ზარბაზნებით და ხელოვნური მეხით გლეჯდნენ ბუნებითგან ქმნილ უცვალებელ საზღვარს.

უწყალო სენად გადაექცა ახალდროება. ჩრდილოეთიდან, კავკასს გაღმა მონაქროლმა ცივმა ქარებმა გააუდაბურეს სავანენი, არ დატოვეს ეშყის წალკოტებში სახემტკბარი ვარდები. შეუწყალებელ ცეცხლის ალში ჩავარდა ღვთით ბოძებული პატარა სამოთხე. ყოვლათ მაწყენი გველი შემოეპარა ედემის ბაღებს, მოაშთო მსუბუქფრთოვანი ვარდები. მთიებთაგან დაშორებით სუსტქმნილი ბულბულები აღარ ეკარებიან მარადიული ზამთრით დამზრალ, უშლელ ვარდებს.

"წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი"! – ფიქრობდა იგი და ჭირთ მწველთა განსაქარვებლად მიელტვოდა მდელოთა სუნსა, მოსასურნსა.

მიაგელვებდა შავ ბედაურს უფსკრულების პირას დამრეცილ ბილიკებზე იბერიელთა ძველი, ჭეშმარიტი დანაშთი. მთიები მიიწევდა მოღუშულ ცაზე, როგორც ციკლოპური თვალი, მეწამული მელნის უძირო ტბა. ავდრის საგუბელი ბნელი ღრუბლები გადაფაროდნენ შარავანდის მფენ მზეს, თითქოს წამწამებია, ჰინდოთა ურიცხვი ჯარი.

აქედან შორს იყო უმეფო, პატივახდილი ტფილისი, მთავარმართებლის სვეტებიანი სასახლე, პასკევიჩის მიერ მონათლული ერევანსკის მოედანი თუ რუსების ჯარით გაძეძილი არსენალი. გუშაგებად დაყენებული, თავისუფალი ნების წარმტაცველი მთავარმართებლები ცვლიან ერთანეთს. კნორიგმა შეცვალა პავლე ციციანოვი, ციციანოვმა – გუდოვიჩი, შემდეგ ტორმასოვი, პაულიჩი, რტიშჩევი, ერმოლოვი, პასკევიჩი, როზენი, გოლოვინი, ნეიდგარტი, ვორონცოვი ხვალ სხვანი მოვლენ მათ გამომცვლელად, გველივე ჰშთება გველად. ღმერთმა დაიხსნას ყოველი ქრისტიანი ამათ ბრჭყალებიან ხელში ჩავარდნისგან.

"მუხთლად გვესროლეს მაცთური ბადე. მოტყუებით ჩავცვივდით ქაჯების მახეში, რომელნიც არიან სიტყვა ლაქათნი, ცხოვრება ცუდნი, გულით მრუდნი, პირ-ბნელნი სათნი, აქვსთ ყოვლთვის ხელად, სჯულად ძველად საბრხე, საცთურნი ქაჯთ ყოფაქცევა, ჭამა-სმევა აქვსთ არეულად, დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელჰყოფენ მგლურად, ბატონ-ყმობანი, განრჩევანი არა აქვსთ სრულად, მოყვარეთ ტკბილთა, ხანდაზმილთა გულთ სწყვლენ მტრულად, კაცთა მკილავნი, ლიზღნი, ავნი, ეშმაკთ სადგურნი. რა ხალხია: ღმეჭია, ღრეჭია, ფლიდი და მურტალი. დაგვახვიეს თავს ბნელნი ბურნი. გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან და აწ გვმართებს ხანგრძლივ ჭმუნვა, ვიდრე ჟამმან მოგვცეს თბუნვა".

გაგრძელება მეოთხე გვერდზე